


სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი



ამერხველ მაჰმადიან ქართველის სახლის ზედა სართულის აივანი.



პრაპორშჩიკი შალვა ამბრიაშვილი (მოკლული).

ლას უყვარდა ისე, როგორც აღარას დროს აღარ ეყვარებოდა... მთელს ჩემს სიცოცხლეში ასეთი ბედნიერი სახლი არ მინახავს... ნუ, ნუ, ნუ მიხვალთ ფანჯარასთან; ეგ ყვილაზე ცუდი იქნება... სჯობს ისე უთხრათ, უბრალოდ, თითქოს ეს ჩვეულებრივი რამეა და ძალიან ნუ დალონდებით, თორემ მათი ვარამი თქვენსას გადააჭარბებს და მერე საქმე ძნელი იქნება. წამო ბალის მეორე მხარისა და მოეუაროთ. დავუკაჟუნოთ კარი და შევიდეთ, ვითომ აქ არაფერია და არც არაფერი მომხდარიყვის. პირველი მე შევალ; მე რომ დამინახავენ, ექვს არას აიღებენ; ხანდახან ყვავილები და ხილი მოვაქვს და რამდენიმე საათს ვატარებ ხოლმე, მათთან.

უცხოელი. მე რაღას წამოვიდეთ თქვენთან? წადით მარტოკა. მე აქ დავიციდი, ვიდრე დამიძახებდნენ... მათ არას დროს არ ვუნახევართ... მე გამვლელი, უცხოელი ვარ და სხვა არაფერი...

მახუცი. არა, სჯობს ერთად შევიდეთ. როცა კაცს უბედურებას რამდენიმე ატყობინებს, ის ისე არა სცემს თავზარს... ამაზე მე გზაში ვფიქრობდი... მარტოკა თუ შევალ, პირველი წუთიდანვე მომიხდება ამბის დაწყება; რამდენიმე სიტყვის შემდეგ ყველაფერს გაიგებენ და მე სათქმელი აღარაფერი მექნება; დუმლისა კი ძალიან მეშინიან, რომელიც ჩამოვარდება ხოლმე უბედური ამბის გაგების შემდეგ... ამ დროს გასკდება ხოლმე გული... ხოლო თუ ორივენი ერთად შევალთ, მოუწყვები გადაკვრით, ნელ-ნელა, შირიდან მოვუვლი, ვეტყვი, თუ როგორ იპოვეს ის, როგორ მოჰქონდა მდინარეს გულ-ხელ დაკრებილი...

უცხოელი. გულ-ხელ დაკრებილი კი არა ხელებ ჩაშლილი იყო.

მახუცი. ჰხედავთ, სიტყვები თავის თავად მოდის... ლაპარაკში გაგაბამთ და უბედურების ამბავი ისე ელდად არ ეცემით გულზე... მარტოკა კი რომ შევიდეთ, თავზარი დაეცემით პირველ სიტყვების შემდეგვე და მაშინ ღმერთმა იცის რა მოხდება. ხოლო როცა ერთი მეორეზე ვილაპარაკებთ, გაერთობიან და ყურადღებას არ მოიპყრენ ცუდ ამბავს... ნუ დავაფიქვლებათ, რომ იქ დედა და მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰქიდა... დეე ლეღვა უბრალო ტალღათა სრბოლით დაიწყო... საჭიროა ადამიანები ხმაურობდნენ მათ გარშემო, ვისაც უბედურება დაატყდა, საჭიროა მათ ახლოს ხალხი იყოს. უფრო გულგრილნი, თვის და უნებურად, ინაწილებენ დარდს, მიაქვთ აქეთ-იქით... ამგვარად ურვა იგი ჰქრება, ადვილად და შეუჩინებლად, ვით ჰაერი ანუ ნათელი დღისა...

უცხოელი. ტანსამოსი დაგსველებიათ, წყალი ფილაქანზე დადის.

მახუცი. მხოლოდ წამოსასხამის კალთა დამისველდა წყალში. თქვენ, მგონია, გცივათ? გული მთლად მიწითა გაქვთ მოსვრილი... გზაში არ შემიძინებია ეგა...

უცხოელი. წყალში წელამდე შევედი.

მახუცი. მე რომ მოვიდი, უკვე დიდი ხანია გქონდათ ნაპოვნი?

უცხოელი. სულ რამდენიმე წუთი იყო გასული. სოფლისკენ მოვიდი; დაგვიანებული იყო და ჩამოხვდებოდა. მდინარის ნაპირას არა ირჩეოდა რა. მოვიდი და თან წყალს ვუყურებდი, იმით ვიკვლიე გზას, ის უფრო ნათელი იყო. იქვე ლელის ახლოს, ორს ნაბიჯზე, რაღაცა უცნაური შევამჩნიე... მივედი ახლოს და იმის თმა კი დავინახე; შემოდანა ტივტივებდა.

(ოთახში ორივე ახალგაზრდა ქალი ფანჯრისკენ მოიხედავს).

მახუცი. დაინახეთ, იმის დებს როგორ შეერხათ თმები მხრებზე?

უცხოელი. ისინი აქეთ იცქირებიან... არა, ისე მოიხედეს აქეთ.

შეიძლება ჩემი ხმა გაიგონეს მეტად ხმა-მაღლა ვლაპარაკობდი. (ორივე ქალი ისევ იბრუნებს სახეს და ძველებურადა სხდებიან). მაგრამ აგერ, აქეთ აღარ იუბრებიან... წელამდე შევედი წყალში, ხელში ვწვდი და ადვილად გამოვიტანე ნაპირას... იგი ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც აგერ მისი დები...

მახუცი. კიდევაც უფრო მშვენიერი იყო იმათზე... არ ვიცი რად შევკრთი ისე, რად დამანება თავი მთელმა ჩემმა სიმხნევემ, გულადობამ...

უცხოელი. რა სიმხნევეზე ლაპარაკობ? ჩვენ ყველაფერი ვილონეთ, რაც ჩვენს ხელთ იყო... უკვე საათზე მეტია, რაც ის გარდაიცვალა...

მახუცი. საბრალო! ამ დილას ისევ ცოცხალი იყო... ეკლე სიიდან რომ მოდიოდა, გზაში შემომხვდა და მითხრა—პაპის სანახავად მიედივარო. იმ მდინარის მეორე ნაპირას უნდა გადასულიყო, სადაც თქვენ ის იპოვნეთ... მითხრა, რომ არ ვიცი, როდისა მნახავ კიდევარო... აღბად უნდოდა ჩემთვის რამე ეთქვა, მაგრამ მაშინ ვერა და და გაეშურა. ეხლა ყველაფერი მაგონდება, მაგრამ მაშინ ვერაფერი შევიმჩნიე!.. ის ილიმებოდა, ისე, როგორც ილიმებიან ხოლმე ისინი, რომელთაც სურთ ჩუმად იყვნენ და ეშინიანთ—სხვა არ მიგვიხვდესო... იმაში თითქოს ყოველი იმედი ილეოდა, ჰქრებოდა... თვალბში სიცოცხლე ჩაჰქობოდა... და თითქმის არ მიუყურებდა...

უცხოელი. გლახებმა მითხრეს, რომ ჩვენა ვნახეთ, როგორ დახეტიალობდა მდინარის ნაპირას ბინდამდე... ჩვენ გვეგონა ყვავილებსა ჰქრებოდა... იქნება იმის სიკვდილი...


მახუცი. ვინ იცის... არავინ არაფერი უწყის... იქნება ის ერთი იმათგანა იყო, რომელნიც მუდამა სდუმან. ყველას მოეპოვება საქამო მიზეზი, რომ ამ ქვიყანას განშორდეს... სხვის სული მიუწვდომელია... ყველა ასეა... სულ უბრალო, ჩვეულებრივ რამეზე ლაპარაკობენ და არავის აზრადაც არ მოსდის რამე... მთელი თვეები ვცხოვრობთ მათთან ერთად, ვინც უკვე აღარ ეკუთვნის ამ ქვიყანას, რომელთა სული ამ ქვიყანას აღარ ეკარება; ჩვენ მათ ვებასუხებით და ამაზე კი არაფერს ვფიქრობთ და ჰხედავთ რა ხდება... ისინი უსულ ტიკინებსა ჰგვანან და ნამდვილად კი რამდენი რამ ხდება მათს სულში... ისინი თვითონაც ვერ სცნობენ თავიანთ თავს... აგერ ისა სცოცხლობდა, როგორც სხვები... სიკვდილის ჟამამდე ამას იმეორებ-



ჯ.-კ. ვასო მიქუტიშვილი (დაკრილია).



ჯ.-კ. ნიკო მიქუტიშვილი (დაშავებულია).



ფრეიტორი დომენტი დვალი-შვილი (უკვალოდ დაიკარგა).

ფერშალი გიორგი ნიკოლაი-შვილი (დაჭრილი).

და: „დღეს დილით წვიმა მოვა“, ან „წვიდეთ, ვისაუზმით; ცამეტ-ნი ვუსხდებით მაგიდას“, ან „ხილი ჯერ ისევ მკვახეა“. ისინი ღიმი-ლითა ლაპარაკობენ ტოტებიდან ჩამოცვივებულ ყვავილებზე და სტი-რიან ბნელაში... ანგელოსიკ კი ვერაფერს შეამჩნევს, ხოლო ხალხი მას შემდეგ ჩახვდება ცნობილობს ხოლმე, როცა იქუხებს უბედურე-ბა... გუშინ საღამოს ის იქ იჯდა, სანათის ახლოს, როგორც აგერ მისი დები; და თქვენ ვერაფერს შეამჩნევდით მათ ეხლა, რომ ის უბედურება არ მომხდარიყო... აგერ მე ისე მგონია მათ პირველად უბედურება მეტეტი... ყოველდღიურ ცხოვრებას მაშინ ჩაუკვირდები მა-შინ გაიგებ, როცა მოხდება არაჩვეულებრივი რამ... ისინი აგერ აქ არიან, თქვენს გვერდით; თვალს არ აშორებთ, მაგრამ მაშინ ამჩნევთ მხოლოდ, როცა ისინი აქედან სამუდამოდ მიდიან... რა არაჩვეულებ-რივი სულის უნდა ყოფილიყო ის ბავშვი!.. ტანჯული, უმანკო, უფსკეროა იგი სული, თუ მან ს.ქვა ის, რაც უნდა ეთქვა და ჰქმე-ს, რაც უნდა ექმნა!..

უცხოელი. აგერ ისინი (დები) ჩუმად იღიმებიან ოთახში...

მოხუცი. იმაზე არა დარდობენ... არ მოელიან დღეს საღამოს...

უცხოელი. ისინი იღიმებიან, კი არ იძვრიან... მაგრამ აგერ მამამ თითი მიიღო ბავშვზე...

მოხუცი. ის ბავშვზე უთითებს, რომელსაც დედას მკერდზე დასძინებია.

უცხოელი. დახე, დედა თვალსაც კი არ ახამხამებს,—პაწისა ღიმი არ გაუფრთხოვო...

მოხუცი. დები აღარა მუშაობენ... დუმილი ჩამოვარდა.

უცხოელი. ჰხედავ, თეთრი აბრეშუმის გორგალი გაუფარდათ დედიდან...

მოხუცი. ისინი ბავშვს უცქერიან...

უცხოელი. იმათ არც კი იციან, რომ მათ სხვები უყურებენ...

მოხუცი. ისინი ჩვენც გვიყურებენ...

უცხოელი. აგერ, თვალი მალა აიღეს...

მოხუცი. მაგრამ მაინც ვერაფერს დაინახავენ...

უცხოელი. როგორ ბედნიერად გამოიყურებიან!.. მაგრამ იქნე-ბა ეს მხოლოდ ასე გვეჩვენება...

მოხუცი. საწყლებს ჰგონიათ რომ არაფერი უბედურება არ მოგველისო... კარებები ჩაუკეტიათ, ფანჯრებისთვის რკინის ფარეში (ЗАТЯ) ჩამოუფარებიათ... გაუმავრებიათ ძველი სახლის კედლები; მუხის სამი კარისთვის ურდულეები გაუყრიათ... ყველაფერი წინდა-წინვე უფიქრიათ, განუზომიათ...

უცხოელი. სულ ერთია, ასეა თუ ისეა ბოლოს მაინც უნდა გაიგონ ეს ამბავი... ვინმე რომ შესულიყო და ყველაფერი უცბად დაეძინა... მინდორზე, სადაც მიცვალებული ასვენია, ბევრი გლეხები იყვნენ... რომელიმე მათგანს შეეძლო კარი დაეკაუნებინა...

მოხუცი. მართა და მარიამი იქ დარჩნენ, პაწია მიცვალებულ-თან. გლეხები ტოტებისა და ფოთლების საკაცის გასაკეთებლად წა-ვიდნენ. მე უმფროსს დავავალე შეგვატყობინე მეტეტი, როცა ისინი მიცვალებულს წამოასვენებენ. ნოვუცადოთ; მოვა და მე და ის ერ-თად შევალთ... არ უნდა გვეცქირა ამათვის. მე მეგონა მხოლოდ მოვიდოდით, კარებს დავუკაუნებდით, შევადოდით ჩვეულებრივ, ორიოდ სიტყვას მოვიგობებდით და ვეტყოდით... მაგრამ მე მეტის-მეტეტი ვუცქირე მათ სანათთან მსხდომთ...

(შემოდის მარიამი).

მარიამი. პაპა, ისინი მოდიან.

მოხუცი. ოჰ, შენა! სად არიან ისინი?

მარიამი. უკანასკნელ გორაკიდან ჩამოდიან.

მოხუცი. ჩუმად მოდიან?

მარიამი. მე ვუთხარი—ჩუმად იკითხეთ ლოცვები მეტეტი. მართა მოსდევს თანა...

მოხუცი. ბევრნი არიან?

მარიამი. მთელი სოფელი მოსდევს საკაცს უკან. ფანჯრები მოვიდნენ, მაგრამ მე ჩავაქრობინე...

მოხუცი. რომელ გზაზე მოდიან?

მარიამი. ბილიკ-ბილიკ, ნელა-ნელა მოიძვრიან...

მოხუცი. დროა...

მარიამი. შეატყობინეთ, პაპა?

მოხუცი. როგორცა ჰხედავ, ჯერ არაფერი შეგვიტყობინებია... ისინი აგერ, სანათთან სხედან და ელიან... შეხე, შეილო, შეხე: მა-ლე დაინახავ, რა არის სიცოცხლე...

მარიამი. ოჰ, როგორ წყნარად, დამშვიდებით არიან!.. თით-ქოს სიზმარში ვხედავ მათ...

უცხოელი. სუთ, —მე შევამჩნიე, ორივე და როგორ შეხტა...

მოხუცი. აგერა დგებიან...

უცხოელი. ვგონებ ფანჯრებისკენ მოდიან... (ამ დროს ერთი და უახლოვდება პირველს ფანჯარას, მეორე—მესამე ფანჯარას; შუ-მას ეყრდნობიან და დიდხანს გამოიყურებიან სიბნელეში).

მოხუცი. შუა ფანჯარასთან რომ არაფერს მოვიდა!..

მარიამი. ისინი იცქირებიან... ყურს უგდებენ...

მოხუცი. უფროსი ულიმის მას, რასაც ვერა ჰხედავს...

უცხოელი. მეორეს კი შიშით უთრთის თვალები...

მოხუცი. სუთ, უცნობ არს საზღვარი ულისა კაცისა... (დიდი-ხნის დუმილი. მარიამი ეკვრის მოხუცს გულზე და ეხვევა).

მარიამი. პაპა!..

მოხუცი. ნუ სტარი, შეილო... ჩვენი დროც მოვა... (დუმილი).

უცხოელი. რამდენს ხანს იყურებიან!..

მოხუცი. საწყალი ქალები! ათი საუკუნეც რომ ეცქირნათ, სულ ერთია, მაინც ვერას დაინახავენ... ფრიალ ბნელია ღამე... ისინი აქეთ იცქირებიან, უბედურება კი იქიდან მოეპარებათ...

უცხოელი. კარგია, რომ აქეთ იყურებიან... აგერ, რაღაცა მოს-ჩანს მინდვრის მხრიდან, მოიძვრის...

მარიამი. ეგ ალბად ხალხია... ისე შორს არიან, რომ ძლივსა სჩანან...

უცხოელი. ისინი დაკლავნილ ბილიკზე მოდიან... აგერ, მთვა-რით გაშუქებულ კორღზე ამოვიდნენ...

მარიამი. უჰ, რამდენნი არიან!.. მე რომ მივედი, ხალხი ყოვე-ლის მხრიდან მორბოდა, ქალაქის გარეთა უბნებიდანაც კი... აგერ, შემოუხვიეს.

მოხუცი. ისინი პირდაპირ მოვლენ,—მეცა ვხედავ... მინდორ-მინდორ მოდიან... ისეთი პაწიები მოსჩანან, რომ ბალახში აღარა სჩა-ნან... თითქოს ბავშვები თამაშობენ მთვარის შუქზე... ამათ (დებს) კიდევ რომ დაენახათ ისინი, ვერაფერს მიხვდებოდნენ... ტყუილად შეაქციეს მათ ზურგი,—ისინი უფრო და უფრო ახლოვდებიან და უბედურებაც ახლოვდება თან და თან აგერ ორ საათზე მეტია; ხალ-ხი ვერ შეუშლის მის წინსვლას ხელს, ხალხი ვერ შეაჩერებს უბედუ-რებას, თუმცა ხალხს თვითონ მოაქვს იგი... უბედურება—უფალია მათი და ისინი იძულებულ არიან მას ემსახურონ... მას თავისი მიზა-ნი აქვს და თავისი გზით მოდის... მან არ იცის დალილობა; მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს... ისინი იძულებულნი არიან მას შესწირონ მთელი თავისი ძალ-ლონე. ჰმუნვას მოუცვამს ისინი, მაგ-რამ მაინც მოდიან... აღვსილან სიბრალულით, მაგრამ მაინც უნდა იარონ წინ...

მარიამი. პაპილო, უფროსი რომ აღარ იცინის!..

უცხოელი. ოჰო, ფანჯრებსა შორდებიან...

მარიამი. ისინი დედასა ჰკოცნიან...

უცხოელი. უფროსი ხუჭუჭ თმაზე უსვამს ხელს მძინარე ბავშვს, ეალერსება...

მარიამი. ჰხედავთ, მამასაც უნდა, რომ იმასაც აკოცონ...

უცხოელი. ახლა ყველა გაჩუმდა...

მარიამი. ისინი ისევ მიდიან დედასთან...

უცხოელი. მამა თვალს აღარ აცილებს კედლის საათს...

მარიამი. კაცი ისე იფიქრებს, თითქოს ისინი თავის და უნე-ბურად ლოცულობენო...

უცხოელი. თითქოს თავიანთ თავს უგდებენ ყურს... (დუმილი).

მარიამი. პაპა,—მოდის ნუ შეატყობინებ იმ უბედურებას დღეს!..

მოხუცი. ჰხედავ, შენც როგორ შეშინდი... ვიცოდი, რომ არ უნდა გვეცქირა. მე აგერ ოთხმოცდა სამი წლისა ვარ თითქმის და მხოლოდ დღეს პირველად შეგხედე სახეში სიცოცხლეს. მე თვითონ არ ვიცი, ყველაფერი ის, რასაც ისინი სჩადიან, რად მეჩვენება ისე არაჩვეულებრივად, განდიდებულად... ისინი მხოლოდ შემოსხდომიან სანათს და დაღამებას ელიან, როგორც ჩვენც მოველოდებოდით ჩვენს სახლში, ჩვენს სანათთან; მაგრამ მაინც მგონია, რომ მე მათ სხვა ქვეყნის სიმალიდან გადმოვყურებ, რადგან მე ვიცი ცოტა რამ მაინც ისეთი, რაც მათ ჯერ კიდევ არ იციან... მაგრამ რა გემარ-თებათ, შეილებო? მითხარით, რისთვის გაფითრდით თქვენც? იქნება დაინახეთ ისეთი რამ, რაიც სიტყვით არ გადმოიცემის და რაც ცრემლს გვიძრავს, გვატირებს? არ ვიცოდი, თუ სიცოცხლე ასე დარ-

დითა და ვარამითაა სავსე, რომ ის შიშსა სძრავს მათში, ვინც მას შეჰყურებს... რომ არაფერიც მომხდარიყო, სულ ერთია, მაინც ჩემთვის საზარელი იქმნებოდა აგერა აისათ სიმშვიდე... მათ მეტადა სწამთ ამ ქვეყნის... აგერა სხედან იქ, დაშორებული მტერს რაღაცა უბრალო ფანჯრებით და ჰფიქრობენ, რომ არაფერი მოხდება, რადგან კარი დაკეტულია; მაგრამ არ უწყაან, რომ მუდამ რაიმე ხდება სულის სიღრმეში, — ავიწყდებათ ქვეყანა, რომელიც მათი სახლის კედლებს გარეშე... ისინი იმდენად დარწმუნებულნი არიან თავიანთ პაწია ცხოვრებაში, რომ ვერც კი გრძნობენ — რამდენმა იცის მათ ცხოვრებაზე მეტი, ვიდრე მათ, — რომ მე, დაჩაჩანაკებულს მოხუცს, მათგან სულ ორს ნაბიჯზე, მიჭირავს მთელი მათი პაწია ბედნიერება ჩემს დაჩაჩანაკებულს ხელებში, რომელთაც ვერ ვბედავ გავხსნა...
მარიამი. გერბალეობდეს, პაპილო, ესენი...

მოხუცი. ჩვენ გვებრალებს ესენი, შვილო, მაგრამ ჩვენ რომ არ შეგვიბრალებს...

მარიამი. ხვალ, ჩემო პაპა, ხვალ შეატყობინე; მაშინ შეატყობინე, როცა ნათელი იქმნება... მაშინ ეს ისე ძალიან არ დასცემს თავსარს...

მოხუცი. შენ თითქმის მართალი ხარ... იქნება უმჯობესია დილისთვის გადადება. დღისით ნაღველი ისე მწვავე არ არის... მაგრამ რას გვეტყვიან ხვალ? უბედურება კაცს აეჭვიანებს. მათ, ვისაც იგი დაატყდება თავს, სურთ თავიანთი უბედურება ყველაზე უწინ იცოდნენ. არ უყვართ, რომ ეს სხვამ იცოდეს და მათ არ ეუბნებოდნენ... ჩვენ რომ სახვლიოდ გადავდოთ, ქურდობასეებ გამოგვივა...

უცხოელი. გადადება არ იქმნება; აგერ, ჩუმი ლოცვის ხმა მესმის...

მარიამი. ისინი იქ არიან... წნულის იქით მოდიან... (შემოდის მართა).

მართა. აგერ მეც აქა ვარ. მოვიყვანე ისინი და ვუთხარი — გზაზე შეიცადეთ მეთქი (ისმის ბავშვების ყვირილი) ოჰ, ბავშვები კიდევა ჰყვირიან... ვუთხარი იქ დარჩენილიყვენ... მაგრამ იმათაცა სურთ ნახონ რე მათმა დედებმა არ გამოგონეს... ეხლავე ვეტყვი მათ... მაგრამ აგერ დაჩუმდნენ. — ყველაფერი მზად არის? ბეჭედი მოვიტანე თან, რომელიც მას თითზე ჰქონდა... მე თვითონ დავასვენე მიცვალეული საკაცზე. ისეა, თითქოს სძინავს... უჰ, რამდენი ვიწვალე; თმა ძლივს დავუწვანი... ვარდ-გვირილა მოვაკრებინე... ახ, ნეტა სხვა ყვავილები ყოფილიყო... მაგრამ თქვენ აქ რას აკეთებთ? რატომ მათთან არა ხართ?.. (ფანჯარაში იკვირება) ისინი არა სტირიან?.. ისინი... არაფერი გითქვამთ?..

მოხუცი. მართა, მართა, შენში სიცოცხლე სდულს, შენ არ შეგიძლიან მიხვდეს...

მართა. რატომ არ შემეძლიან მიხვდეს?.. (მცირე დუმილის შემდეგ დიდი საყვედურით) შენ მაგას არ ჩაიდენდი, პაპა...

მოხუცი. მართა, შენ არ იცი...

მართა. მაშ მე შევატყობინებ...

მოხუცი. მოიცა, დარჩი, შვილო, აქ და ნახე...

მართა. ოჰ, რა უბედურნი არიან!.. მეტი ცდა აღარ შეუძლიანთ...

მოხუცი. რატომ?

მართა. არ ვიცი... მაგრამ ასე ვაგრძელება აღარ იქმნება...

მოხუცი. მოდი აქ, შვილო...

მართა. ოჰ, რა მოთმენის არიან!..

მოხუცი. მოდი, შვილო, აქ...

მართა. (ბრუნდება) სადა ხარ, პაპა? ცრემლები მიშლიან და ველარა გხედავ... მე თვითონ არ ვიცი რა ვქნა...

მოხუცი. ნუ უტყერი, შვილო, მათ, ვიდრე ყველაფერს არ გაიგებენ.

მართა. მე მინდა, პაპა, შენთან ერთად შემოვიდე იქ...

მოხუცი. არა, მართა, აქ იყა... შენ დასთან ერთად დაჯექი აქ ამ ძველ ქვის სკამზე, სახლის კედლის პირდაპირ და ნუ უყურებ... შენ ჯერ ძლიერ ყმაწვილი ხარ და ადვილად არ დაგაფიწყდება. აღამიანის სახე შენ არ უნდა დაინახო, როცა მის წინ სიკვდილი აიტუხება... ნუ მიიხედავ, შვილო, თუ წვილ-კვილს გაიგონებ... იქმნება სრული სიჩუმეც იყვებს... და მაშინ, მეტადრე მაშინ ნუ მიიხედავ... წინდაწინ არ შეიძლება ითქვას, რით გამოიხატება მათი დარდი, ვარამი... როცა იგი ღრმავა, მეტად მწვავეა, ჩვეულებრივ მხოლოდ რამდენიმეჯერ მწარედ ამოიკენესებენ ხოლმე... მეც არ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როცა ამ კვნესას გავიგონებ... ეს უკვე სიცოცხლის საზღვრის გარეშე სდგას... მაკოცე, შვილო, მაკოცე, ვიდრე წავიდოდე... (ლოცვის ჩურჩულის ხმა თან და თან ახლოვდება. ნაწილი ხალხისა ბაღს ეფინება. ისმის ყრუ ფეხის ხმა და დაბალი ლაპარაკი).

უცხოელი. (ხალხს) თქვენ აქ იყავით... ფანჯრებთან ნუ მიხვალთ... ისინი სად არიან?

გლეხი. ვინ ისინი?

უცხოელი. სხვები... რომელნიც მოასვენებენ?..

გლეხი. ხეივანზე მოდიან, კარებისკენ რომ მოდის. (მოხუცი მიდის. მართა და მარიამი სკამზე ჯდებიან, ფანჯრებისკენ ზურგ-შექცეულები. ისმის ხალხის გაურკვეველი გუგუნი).

უცხოელი. სუთ!.. ნუ ლაპარაკობთ.

(ოთახში უფროსი და დგება და ურდულს აწვება).

მართა. კარებს ალებს?

უცხოელი. არა, ჰკეტავს (დუმილი).

მართა. პაპა შევიდა?

უცხოელი. არა... უფროსი და ისევე ჯდება დედის გვერდით, დანარჩენნი არ ინძრევიან და ბავშვსაცა სძინავს... (დუმილი).

მართა. მომე, ჩემო დაიკო, მომე შენი ხელი...

მარიამი. მართა!..

(ეხვევიან და ჰკოცნიან ერთმანეთს).

უცხოელი. პაპა თქვენმა აღბად დაუჯაკუნა კარი... ყველამ ერთად აიღო მალლა თავი... ერთმანეთს შეჰყურებენ...

მართა. ოჰ! ოჰ! დაო... მეც დავიკვივლებ ეხლავე!..

(დას ეკვრება მხარზე და სცდილობს ქვითინი შეიკავოს).

უცხოელი. მან აღბად კიდევ დაუჯაკუნა... მამა საათს შეჰყურებს. ზეზე დგება...

მართა. მეც, დაო, მეც მინდა იქ შევიდე... მათ მარტოკა ყოფნა აღარ შეუძლიანთ...

მარიამი. მართა, მართა!.. (იჭერს მართას).

უცხოელი. მამა კარებთან მივიდა... ურდულს უყრის და ნელა ალებს...

მართა. ოჰ, ღმერთო, თქვენ ვერა ჰხედავთ?..

უცხოელი. ვის?

მართა. მათ, რომ მოასვენებენ.

უცხოელი. მამამ კარი გამოაღო... მხოლოდ კორდის კუთხე და შადრევანსა ვხედავ... კარებს ხელს არ აშორებს... ერთი ფეხი უკან იხევს... ისეთი სახე აქვს, თითქოს ეუბნება: „ოჰ, ეს თქვენ ხართ!“ ხელებს მალლა იღებს... და კვლავ მაგრა ჰკეტავს კარს... პაპა თქვენი შევიდა ოთახში...

(ხალხი ფანჯრებს უახლოვდება. მართა და მარიამი წამოდგებიან მერმე ერთმანეთს მოხვეულები ახლოს მიდიან. მოსჩანს, მოხუცი რომ გორ შედის ოთახში. მიცვალეულის ორივე და ზეზე დგება. დგება დედაც და მზრუნველობითა სვამს ბავშვს სავარძელში, სადაც თვითონ იჯდა; გარედან მოსჩანს, შუა ოთახში ბავშვს როგორ ჩაუქიბდრია თავი და სძინავს. დედა ეგებება მოხუცს და ხელს უშვერს მაგრამ ისევ უშვებს ძირს, ვიდრე მოხუცი ხელს ჩამოართმევდეს ერთს დას სურს წამოსახსამი მოხადოს მოხუცს, მეორე სავარძელს უწევს ახლოს. მაგრამ მოხუცი უარზეა. მამა გაკვირვებით იღიმება მოხუცი ფანჯრებსკენ იყურება).

უცხოელი. ვერა ჰხედავს უთხრას და... ჩვენ გვიყურებს...

(ხალხის გუგუნი).

უცხოელი. სუთ!..

(მოხუცი, რა შენიშნავს ფანჯრებში სახეებს, სწრაფად მიტრიალდება. ერთი ქალი ხელმეორედ სწევს ახლო სავარძელს. ბოლოს მოხუცი რამდენიმეჯერ ისვამს მარჯვენა ხელს შუბლზე და ჯდება სავარძელში).

უცხოელი. ის ჯდება...

(დარბაზში ყველა ჯდება. მამა ცოცხლად ლაპარაკობს. ბოლოს მოხუცი იწყობს ლაპარაკს. მისი ხმა. ეტყობა, ყურადღებას იპყრობს მაგრამ მამა აწყვეტინებს მას. მოხუცი ხელმეორედ იწყებს ლაპარაკს და ყველა თან და თან შტერდება. უცებ დედა შეხტება და ზეზე წამოვარდება).

მართა. ოჰ, დედა ხვდება!

(მიტრიალდება და თვალზე ხელს იფარებს. ხალხში კვლავ ხმაურობაა, მიხლა-მოხლა, მუჯღლუფუნია. ბავშვები ჰყვირიან, რომ ხელს აიყვანონ და დაანახონ იმათაც. დედების უმრავლესობა მათ ემორჩილება, ხელში აჰყავთ და აყურებინებენ).

უცხოელი. სუთ!... ჯერ კიდევ არ უთქვამს იმას...

(მოსჩანს, დედა როგორ სევდითა ჰკითხავს მოხუცს. მოხუცი კიდევ რამდენიმე სიტყვას ამბობს. მერმე ყველანი უცება დგებიან და, ეტყობა, მოხუცს რაღაცას ეკითხებიან. მოხუცი ეხლა კი დარწმუნებით იქნევს თავს).

უცხოელი. უთხრა... მან, ყველაფერი ერთად უთხრა!..

ხმები ხალხში. უთხრა... უთხრა!..

უცხოელი. არაფერი ისმის...

(მოხუციცა დგება და ისე, მიუბრუნებლად, უთითებს უკანა კარზე დედა, მამა, ორივე და მივარდებიან ამ კარებს, მაგრამ მამა უცხვერ ალებს მას. მოხუცი ხელს უშლის დედას გარედ გამოვიდეს).

ხმები ხალხში. გამოდიან! გამოდიან გარედ!..

(ბაღში ფაცა-ფუცი, მიხლა-მოხლა ასტყდება. ყველანი სახლის მეორე მხარეს გარბიან და იმალებიან. მხოლოდ უცხოელი რჩება ფანჯარასთან. ბოლოს დარბაზის კარს ალებენ. ყველანი ერთად გამოდიან. მოსჩანს ვარსკვლავიანი ცა, კორდი, შადრევანი, მთვარით გაშუქებული. დაცარიელებულ ოთახის შუაგულსა ბავშვს მშვიდად სძინავს სავარძელში. დუმილი).

უცხოელი. ბავშვს არ გაუღვიძნია!.. (ისიც მიდის).